№ 189. ორშაბათი 13 ოქტომბერი 1914 წ.

ყოველდღიური გაზეთი.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ. საზღვარ-გარედ ორჯერ მეტი.

**თითო ნომერი 5 კაპ.**

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

№ 189 ორშაბათი 13 ოქტომბერი 1914 წ.

ყოველდღიური გაზეთი.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს

რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დისამიძისა, № 4.

ტელეფონი 6—60.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

## არტისტიული საზოგადოების თეატრი.

ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს 1914 წ. ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ

**წარმოდგენილი იქნება:**

## ყაჩაღები

ტრაღედია 5 მოქ. და 9 სურათ. ფრ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:**

ქ-ნი ა. ქიქოძე. ბ-ნნი: არაბიძე, ალულიშვილი, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, კორიშელი, მამულაშვილი, სარაული, ფრონისპირელი, ყალაბეგიშვილი, შანშიაშვილი, ქიაურელი და თანამშრომელთა მუდმივი ჯგუფი.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. ქორელი.**

**შემდეგი წარმოდგენა ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს 1914 წ.**

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

## ახალი კლუბი

ორშაბათს 13 ოქტომბერს

## საოჯახო საღამო

აჩვენებენ სინემატოგრაფის საშუალებით სხვა და სხვა სურათებს

ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს **სინემატოგრაფი**

ხუთშაბათს 17 ოქტ. **სინემატოგრაფით** აჩვენებენ სხვადასხვა სურათებს.

**მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის**

## დედოფალ ალექსანდრეს თეოდ. ასულს თბილისის საწყობი

**ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას** ომით გამოწვეულ საჭიროებათათვის თეთრეულის მასალას, შეკერილ თეთრეულს, ფულს, თბილ საცვალს და ტანისამოსს, წამლებს, წყლულის შესახვევ მასალას (მარლს ბინტისათვის) და სანოვაგეს (ჩაი, შაქარი, ყავა, ყავა, კაკაო, შოკოლადი, თამბაქო და სხვა).

ვინც იკისრებს უსასყიდლოთ შეკერვას თეთრეულისას ან სხვა ნივთებისას, ყთილ ინებონ და საწყობში მობრძანდნენ ყოველდღე (კვირა უქმის გარდა) დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

იმავე დროს მიეცემა სახლში წასაღები მასალა და მიიღება შემოწირულება.

შემოწირულების რაოდენობას ნურავინ დაერიდება. ყოველგვარი შემოწირულება მადლობით მიიღება. ყველაფერი მეტად საჭიროა განსაკუთრებით თეთრეული და წყლულის შესახვევი მასალა (მარლი). საწყობი მოთავსებულია მეფის მოადგილის სასახლეში.

**მის უდიდებულესობის** თბილისის საწყობში ფულით შეწირულების შეტანა შეიძლება თბილისის ვაჭართა ბანკში საწყობის მიმდინარე ანგარიშზე № 394 ნომრით, ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე კვირა-უქმეს გარდა.

## „ნ. ი. ბოზარჯიანცისა და შვ.

სავაჭრო სახლისაგან

## თუთუნის მწეველთა საყურადღებ[ოდ]

რათგანაც მოვაჭრეებს ჩვეულებრივ ფასზე ნაკლებს ვუკლებთ და სათა[...]გოდ თამბაქოც დიდძალი გვაქვს, ამისათვის შესაძლებლად ვცანით, ს[...]ზო ხარჯის მომატების მიუხედავად, ისევ ისეთივე მაღალი ღირსების [...]ნი ვიქონიოთ, როგორიც გვქონდა. მხოლოდ ზოგიერთ უმაღლეს ღირ[...] თუთუნს მოვუმატეთ მცირე რამ და მესამე ხარისხის **„სასუნ“ და ნაროდნი“**[...]

ზოგიერთი წვრილად მოვაჭრე კი შემთხვევით სარგებლობენ და [...]სი ინტერესების გულისათვის ბოროტად გამოიყენეს ეს გარემოება და[...] ფირმის პაპიროსებს აღიშნულ ღირებულებაზე უფრო ძვირად ჰყიდიან.

თამბაქოს მწეველთა უზრუნველსაყოფად ასეთ უკადრის შემთხვევა[...] გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ **ქვემოდ მოხსენებული პაპირ[ოსე]ბის ფასი ძველივე დარჩა:**

| | | |
|---|---|---|
| „სიმპატია“ ( | 10 | ც. |
| ( | 25 | „ |
| „სუდებნია“ | 25 | „ |
| № 8 | 10 | „ |
| დრუჟბა“ და „ტოვარიშჩ“ | 20 | „ |
| „მეჩტა“ ( | 25 | „ |
| ( | 15 | „ |
| „ივან და მარია“ და „აერო“ | 25 | „ |
| „სიმპატია“ | 10 | „ |

სწორედ ამ ფასებში უნდა ჰყიდონ წვრილად მოვაჭრეთ ზემოაღ[ნიშნუ]ლი პაპიროსები.

სრული პატივისცემით

სავაჭ. სახ. „ნ. ი. ბოზარჯიანცისა და შვ.

## რედაქციისაგან.

ამას წინად ჩვენ განვიზრახეთ გამოგვეცა ყოველდღე შუადღისას „თემის“ დღიურები. 1-სა და 2-ს ოქტომბერს კიდეც დავსტამბეთ ორი ნომერი მაგრამ, საუბედუროდ, შეუძლებელი გახდა ტეხნიკურის პირობების გამო ამ გამოცემის გაგრძელება. ერთის მხრით დილის დეპეშები გვიან მოდის, მეორეს მხრით სტამბაც ვერ ასწრებს, რომ "დღიური" 1 [...] მაინც გამოვიდეს. ეს კი სა[...] რადგანაც მხოლოდ ორის ნა[...]ზე მიდის ხოლმე დასავლეთ [...] თველოსკენ ფოსტის მატარებელ[...]ტომ ჩვენ იძულებული გავხდ[...] სახის გამოცემისათვის თავი დაგ[ვე]ბებინა და ისევ მარტო ორშაბათი[...] გამოგვეცა.

რადგანაც ჩვენი წინანდელი ფ[ორმა]ტის ქაღალდი აღარ მოიძებნება [...]ქში (სერგიევის საწყობი დაიკეტა და სხვა საწყობებში კი არა აქვთ) ამიტომ, სანამ ქალაქში მოვა წინანდელი ფორმატისა, ვბეჭდავთ ამ ქაღალდზე, რომელიც უფრო მეტად ღირს, ვიდრე წინანდელი.

ამ ნომერთანავე ხელისმომწერლებს ურიგდებათ ჩვენ-მიერ გამოცემული ორი დღიური წარსულ ორშაბათის ნომრის მაგიერ.

## თბილისი, 13 ოქტომბერი.

გერმანიის მაგალითმა დაუმტკიცა მთელს ქვეყანას, თუ რას ნიშნავს გაზვიადებული „ეგოისტური“ ნაციონალიზმი. სახელმწიფო აღარ დაკმაყოფილდა მიჩენილი საზღვრებით და აგრესიულად წინ მიიწევს სხვა დიდი ერების დასარბევად და პატარა ხალხთა ჩასანთქმელად.

სამაგიეროდ სამთა შეთანხმება გამოდის დიადის ლოზუნგით: „ენიჭოს თავისუფალი ცხოვრება პატარა ერებსაც“. როგორც წინად უკვე გვქონდა ნათქვამი, ეს ლოზუნგი პირველად წამოაყენეს თვალსაჩინოდ რუსეთმა, რომელმაც მოიწადინა თავის მონათესავე პატარა სერბიას გამოსარჩლებოდა და დიდმა ბრიტანიამ, რომელიც წაექომაგა უმწეო ბელგიას.

ყველა ეს ჰმოწმობს, თუ რა მომავალი ექნება პატარა ერების ნაციონალურ არსებობას, უკეთუ დიადი გამარჯვება ბედმა არგუნა სამთა შეთანხმებას.

იმ დროს, როდესაც დაუნდობელი ზვიადი მტერი საშინლად ანადგურებს მთლად ბელგიას, რომელსაც ორი დიდი მოსარჩლე ჰყავს მოვლენილი საფრანგეთისა და ინგლისის სახით, იმ დროს, ვამბობთ, პოლონეთს, სამ ნაწილად გაპობილ ქვეყანას, რუსეთის მეტი მოსარჩლე არავინა ჰყავს. ამიტომ რუსის ხალხს აწევს ვალად ყოველივე ღონე იღონოს და ხელი შეუწყოს ამ ქვეყნის ა[...]

## ბელგიის ბედი.

ანტვერპენის აღების შემდეგ ბელგიელებს შერჩათ მარტო ვიწრო ზღვის ნაპირი დასავლეთით; ოსტენდედან ბელგიის მთავრობა გადავიდა საფრანგეთში. ბელგიელთა ჯარმა მიემატა ინგლისელ-ფრანგების ჯარებს. ამგვარად მამაც ბელგიას სხვა არა დარჩენია რა გარდა იმედისა, რომ ბოლოს შვიდ სახელმწიფოსაგან შემდგარი გერმანიის წინააღმდეგ კოალიცია უეჭველად გაიმარჯვებს და აუნაზღაურებს მას იმ საშინელ ზარალს, რომელიც მას ხვდა წილად გერმანელების თავდასხმის გამო.

ამიტომ გაზ. „რუსკოე სლოვო“ ჰფიქრობს, რომ ბელგიას მოკავშირე სახელმწიფოები უწილადებენ ნაწილს იმ კონტრიბუციისას, რომელსაც დაადებენ დამარცხებულ გერმანიას. გარდა ამისა მოსკოვის გაზეთის ფიქრით ბელგიას უნდა შეუერთონ ლიუქსემბურგის დიდი საჰერცოგო ისე კი, რომ ამ ქვეყნის შინაურ ავტონომიას და დიდი ჰერცოგინა მარიამ ადელაიდას უფლებებს არა ევნოს-რა.

ლიუქსემბურგი უნდა გამოვიდეს გერმანიის სადამოენო კავშირიდან და შევიდეს სადამოენო, სამხედრო და დიპლომატიურ კავშირში ბელგიასთან რადგანაც თვითონ ლიუქსემბურგი სიპატარავის გამო ვერ დაიცავს თავის ნეიტრალიტეტს. თვითონ ლიუქსემბურგელების საწინააღმდეგო არ იქნება ეს საქმე, რადგანაც ესენი ბელგიელების მონათესავენი არიან შთამომავლობის, კულტურისა და სარწმუნოების მხრით.

საჭიროა აგრეთვე გადასწყდეს ბელგიისთვის სამუდამოდ დიდად საჭირო საკითხი მდ. შელდას შესართავით სარგებლობისა როგორც მშვიდობიანობისა, ისე ომიანობის დროს. ბელგიამ და ჰოლანდიამ ეს საკითხი უეჭველად სიამტკბილობით უნდა გადასწყვიტონ. ამ ჟამად ბელგიას არ შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს შელდის შესარ[თავით ...]

[...] ფიდაი არის კაცი, რომელიც თავის თავს სწირავს. ფიდაებს ეძახიან იმ ყმაწვილებს (ტულაბებს), რომელნიც გამოდიან სასულიერო სასწავლებლებიდან და მზად არიან იქადაგონ ისლამი და იბრძოლონ მის გასავრცელებლად. ფიდაებს მდაბიურად ეძახიან ჯან-ფიდაებს („ჯან-ფიდა“ ნიშნავს განწირულ სიცოცხლეს.)

ფიდაებმა შეჰქმნეს თავის ცალკე სკოლა ქადაგებისა — ჯან-ბეზარ, რომელიც ნიშნავს მობეზრებულ სიცოცხლეს. ჯან-ბეზარიზმი მთელი მოძღვრებაა, რომელიც ასწავლის, რომ რაკი სიცოცხლე სავსეა ჭირითა და ვარამით, ტანჯვითა და უსიამოვნებით, ამიტომ იმის მაგიერ, რომ ტყუილაუბრალოდ იცხოვროს კაცმა, სჯობია გაუმკლავდეს ისლამის მტრებს.

ფიდაები მრავლად არიან ოსმალეთში და სპარსეთში: გამოდიან დამასკის, სტამბოლის და ეგვიპტეს სასულიერო სკოლებიდან.

ე.

## ომიანობის დღეები პარიზში

I

მე პარიზში ვიყავი, როდესაც გამოაცხადეს საერთო მობილიზაცია.

ჩამოვედი ორი დღით წინად, მაგრამ მაშინაც ამ უშველებელ და ათასფეროვან ქალაქს ეტყობოდა არაჩვეულებრივი სახე. გაზეთებში დიდი დავა და ალიაქოთი იყო ავსტრიის ულტიმატუმის შესახებ სერბიის მიმართ. ამბობდნენ, რომ რუსეთი ნებას არ მისცემს ავსტრია-უნგრეთს აგრე უწყალოთ გაანადგუროს პატარა სერბია და მაშასადამე საფრანგეთიც იქნება ჩათრეული ამ ომშიო. ცნობილმა კლემანსომ, რომელმაც ადრეც ბევრჯელ გამოაჩინა თავის საპარლამენტო ბრჭყალები პუანკარეს წინააღმდეგ, მიუძღვნა კიდეც ამ უკანასკნელს სამდურავი წერილი თავის გაზეთში: რაღა დროის სეირნობაა უცხო სახელმწიფოებში, როდესაც განსაცდელი მოადგა საფრანგეთსაო?!

პირველი სამი-ოთხი დღე პარიზის დიდი ბულვარები გაჭედილი იყო სამანიფესტაციო ხალხით. გაიშალა ეროვნული ბაირაღი და გაისმა დიადი „მარსელიეზა“.—„გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს ელზას—ლოთრენს! გაუმარჯოს ერთა თავისუფლებას! ძირს სულთამხუთავი მილიტარიზმი გერმანიისა!“—აი ის ხმები, რომლითაც სავსე იყო პარიზის ქუჩა. ცნობილ სტრასბურგის ძეგლს, რომელიც აგერ 44 წელიწადია სამგლოვიარო ძონძით იყო შემკული, ახლა მოჰხიეს ეს ძონძი დაააფრიალეს მასზე სამფეროვანი ბაირაღი. თითქმის ყოველ საათს ამ ძეგლის წინ აუარებელი ხალხი იკრიბებოდა, მოულოდნელი ორატორები მარდად ჰხტებოდნენ ძეგლის კვარცხლბეკზე და ამბობდნენ სიტყვებს, გაშლილ ბაირაღებით და მარსელიეზას მღერით ეს ტალღა გადადიოდა პლას-დე-ლა კონკორდის მოედანზე და ახალი ტალღა ასეთივე მანიფესტაციებისა აწყდებოდა ხოლმე ისევ სტრასბურგის ძეგლს.

აღსრულდა სიზმარი დერულედისა!

——

მალე შეიკრიბა დეპუტატების პალატა. პალატის თავმჯდომარემ დეშანელმა მოკლე, მაგრამ მკვეთრი და ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა ჟორესის მკვლელობის შესახებ:

„მოაკლდა საფრანგეთს კეთილშობილი მამულისშვილი — მშვენება ამ ტრიბუნისა, ჟან ჟორესი, რომელსაც ბევრი წინააღმდეგი ჰყავდა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კაცთმოყვარე ბუნება მეტის სიჩქარით უკეთეს მომავლისკენ მიისწრაფოდაო.

„მაგრამ რას ვამბობ?!—წამოიძახა დეშანელმა: რომელ წინააღმდეგობაზე ვლაპარაკობ?! განა მოიპოება კიდევ ერთი ფრანგი, რომელიც დღეს არ იყოს გამსჭვალული ერთი და იმავე აზრით, ერთი და იმავე გრძნობით?! ნუ თუ დღეს ფრანგი არ არის მხო-

ზარბაზნები. შეებით ყველანი, მოხუცებულნი, დედაკაცები, პატარეები — მიიტანეთ ეს ზარბაზნები და გაამაგრეთ მაღლობებზე პარიზის სამხრეთით, პარიზის გარშემორტყმულ ჰუნნების არტილერიის ზურგს უკან.

ჩქარა! ამაზე იმუშავეთ ყოველ დღე, შეისწავლეთ სროლა და მიზანში აიღეთ იმათი ტაუბეს ჰაეროპლანები, მოსპეთ დამპყრობლები! რაკი ისინი შეესიენ ნეიტრალურ ბელგიას, დასწვეს და გაანადგურეს ეს ქვეყანა — საერთაშორისო უფლება აღარ არსებობს.

თქვენ, სჩანს, არაფერი იცით, თუ რა ხდება ბელგიაში? ამ დროს კი თქვენ ოცნებაში ერთობით? სანაძლეოს ვდებ, რომ თქვენ ახლა იმედი გაქვთ რუსებისა და რომ არც ერთმა თქვენგანმა არ გაზომა რუკაზე მანძილი ეიდკუნენიდან ბერლინამდის — 600 ვერსტი!

გეყოფათ ილიუზიები! ყველანი შეიარაღდით. ზე-კაცური ღონე იღონეთ! მხოლოდ ამ ფასით შეუძლია საფრანგეთს ხელ-ახლა ხელთ იგდოს თავის ძალა და უფლება, რომ ყველას სული ჩაუდგას **თავის** ცივილიზაციით, **თავის** იდეებით ევროპის ხალხთა თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობისა. გამოიღვიძეთ! ნუ მისცემთ ნებას ამ ბოროტ დამპყრობლებს ხელ-ახლა გაჰქუყონ ლათინთა ცივილიზაცია და საფრანგეთის ხალხი...

ნუ მისცემთ ნებას დაადონ ევროპას მთელი საუკუნის მილიტარიზმის უღელი

მიეცი ეს წერილი წასაკითხად ამხანაგებს, გთხოვ. აქ, ლონდონში, ჩვენ უფრო კარგად ვიცით ყველაფერი, ვიდრე თქვენ. ჩვენთვის უფრო ცხადია ომის საერთო მსვლელობა.

ს. და მე ძმურ სალამს გითვლით.

**შენი პეტრე.**

P. S. რომ იცოდეთ, თუ როგორ მტკივა გული, როცა ვხედავ საფრანგეთს, მტრისგან დაპყრობილს და ბელგიას გაჰქუყილს, განაწილებულსა და განადგურებულს მამაც დაცვის შემდეგ. შენსავით მეც მაქვს იმედი, მეც მრწამს გამარჯვება. მაგრამ პარიზში გამეფებული ბედის მშვიდობიანი მორჩილება, რომლის შესახებ მიამბო ეს არის ახლა მოსულმა ამერიკელმა ამხანაგმა, მაწყენს გულისცემის...

ბელგიის და საფრანგეთის არმიების უთქმელი გმირობა პირდაპირ ღირსია თაყვანისცემისა. მაგრამ გერმანელების მეგობრები ყველაფერს აკეთებენ, რომ დააჩქარონ დამხმარე ძალების გამოგზავნა. მაგრამ ამისათვის დრო არის საჭირო.

რაც უნდა იყოს, აი ახლა უკვე 2 სექტემბერია — სედანის წლის თავი, გერმანელებმა კი ვერ შეასრულეს თავის ტრაბახი, რომ ამ დღეს ისინი იქნებოდენ პარიზში. თქვენ კი მოგიხდებათ ველურ პირ-უტყვებსავით თავის დაცვა, რომ ხელი შეუშალოთ გერმანელებს პარიზში შემოსვლაში.

პ. ქ.

---

## საცვლის კვირა.

თბილისში ჰმართავენ „საცვლის კვირის“ ამ საშუალებით სურთ დააკმაყოფილონ არმიის მოთხოვნილება საცვლისა, თბილი ტანისამოსისა, ფეხსაცმლისა და სხვ.

ამ ,,საცვლის კვირას‘‘ ჰმართავს დაჭრილთა და მეომართა ოჯახების დამხმარე საქალაქო ცენტრალური კომიტეტი. შეგროვილი მასალის ერთი ნაწილი, როგორც მაგ., საცვალი ტანისამოსი და „მშრალი ნაყოფი“ — ჩაი, შაქარი, თამბაქო, საპონი და სხვ. გაიგზავნება მომქმედ არმიაში. მეორე ნაწილი წავა ლაზარეთებში, მესამე კი მეომართა ოჯახების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. რუსეთში ,,საცვლის კვირამ‘‘ დიდი სარგებლობა მოიტანა.

„საცვლის კვირა“ დაიწყება 19 ოქტომბერს კვირას. „საცვალს“ შეაგროვებენ უბან-უბან. „საცვლის“ ბოხჩები უნდა წინდაწინვე იყოს დამზადებული, რომ როგორც კი მოვა მკრებავი, მას გადსცენ მაშინვე. ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ხატისოვია, ხოლო „საცვლის კვირის“ მომწყობ კომიტეტისა — მინას ბერბერიანი.

უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც შეუწყობენ ხელს ამ დიდ საქმეს. სასურველია მხოლოდ აქედან წასულ მეომართა ოჯახებიც არ დაივიწყონ, რადგანაც, რამდენადაც ჩვენ ხელთა გვაქვს ცნობები, მათი უმწეო მდგომარეობა აუტანელია...

---

## ახალი ამბები

✦ სენატმა უყურადღებოდ დასტოვა ჟურნალ ,,სოვრემენი მირის‘‘ რედაქტორის ... ნიკოლაის საკასაციო საჩივარი, რომელიც იყო მიცემული თავის ჟურნალში რომანის ,,სანინის‘‘ დაბეჭდვისათვის და მისჯელი ჰქონდა 8 თვის ციხე.

✦ გუშინ თბილ. საბალოსნო სკოლაში გაიხსნა ხილის გახმობის და კონსერვების მზადების შესასწავლი კურსები.

✦ ამ დღეებში თბილ. სემინარიის ძველ შენობაში გაიხსნება კოოპერატიული ამხანაგობა ,,ქართლის‘‘ მაღაზია, სადაც ქართლის ხილის გაყიდვა იქნება მოწყობილი.

✦ საერობო განყოფილებამ ზაქათალის ოლქში გაგზავნა ფანიაშვილის ქალი 20.000 ფუთ გახმობილ ხილის დასამზადებლად კალიფორნიის სისტემის მიხედვით. ამ ხილს მერე გაგზავნიან მომქმედ არმიაში.

✦ მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მიეცეს ხაზინიდან უმთავრეს საბჭოს ერთი მილიონი მანეთი მეომართა ოჯახების შესაწევათ.

✦ ხმა დადის, რომ შინაკან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი გერმანელთა მიწათმფლობელობის მოსპობის შესახებ. ავსტრიისა და გერმანიის ქვეშევრდომებს ეკრძალებათ უძრავ ქონების საკუთრების უფლებით სარგებლობა 25 გუბერნიის ქალაქების გარედ, იმ გუბერნიების, რომელნიც საზღვრებზე და ბალტიის, შავის და აზოვის ზღვების სანაპიროებში მდებარეობენ. ამავე ადგილებში აღკრძალული ექნებათ გერმანიიდან გამოსულებს, რომელთაც მიღებული აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა და მათ შთამომავლობას იმ ქალაქ გარეშე უძრავ ქონების მფლობელობა, რომელიც შეძენილი აქვთ 1870 წლის 1 თიბათვის შემდეგ, როდესაც გამოიცა გერმანული კანონი ორნაირ ქვეშევრდომობის შესახებ. ყველა ამ პირთ აღეკრძალებათ აგრეთვე დაქირავება, იჯარით აღება და მართვა-გამგეობა ქალაქ გარეშე მამულებისა. გერმანულ მიწათმფლობელობის მოსპობისათვის დანიშნული იქნება სულ რამდენიმე თვე.

✦ გუშინ თბილისში სასტუმრო ,,პრიმაში‘‘ (ელისაბედის ქ. მილოვის სახლი) თავი მოიწამლა ვასილ ბესარიონის ძე მდივანმა. მასთან ერთად იპოვეს მიცვალებული ორი წლის მისი ასული. როგორცა სჩანს, უბედურს ჯერ თავისი ასული მოუწამლია. ვას. მდივანმა ლიცეის უმთავრესი სასწავლებელი დაამთავრა. შემდეგ სპარსეთში ... თბილისში სულ სამი დღე იყო ჩამოსული.

✦ როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, ამას წინად მოსკოვში დაარსდა ქართული ლაზარეთი. ლაზარეთი მოაწყო მოსკოვის ,,ქართველთა საზოგადოებამ‘‘, რომელსაც სათავეში უდგანან თავმჯდომარე ცნობილი დრამატურგი და მსახიობი ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუჟინი და თავმჯდომარის ამხანაგი სამხედრო ინჟინერი ივ. ნინ. თულაშვილი. თვით ლაზარეთს განაგებს და იუჟინისა ეკ. ბოგუსლავსკისა. ლაზარეთისთვის ივ. თულაშვილმა დაიბარა ლობიო, ბურღული და სხ. აგრეთვე ქართული გაზეთები და წიგნები.

✦ ქართულ გიმნაზიის ყოფილი დირექტორი ბ. ალ. მდივანი ამ ჟამად დ. ხაშურშია (სად. მიხაილოვო), სადაც ჩაბარებული აქვს იქაურ სავაჟო გიმნაზიის გამგებლობა. აგრეთვე მასვე დავალებული აქვს მოწესრიგება და მოწყობა იმავე დაბაში ან სურამში საქალებო გიმნაზიის გახსნის საქმისა.

✦ სათათბიროს თავმჯდომარეს მ. ვ. როძიანკოს ულაპარაკნია მოსკოვში, რომ მან დანამდვილებით შეიტყო არავითარ შეღავათს არ მისცემენ სპირტეულობას გამყიდველ ვაჭრებს ომის დასრულებამდე, აგრეთვე არც ლუდის გაყიდვის ნებას მისცემენ; სახელმწიფო სათათბიროს დაევალება სხვა წყარო გამოძებნოს იმ დანაკლისის შესავსებად, რომელიც მოუვიდა ხაზინას არაყის მონოპოლიის მოსპობის გამო. როგორც უკვე გამოირკვა უმაღლესად გარდაწყვეტილია სამუდამოდ მოიხპოს არაყის სახაზინო გაყიდვა.

✦ ამას წინად ეპ. ანტონის თავმჯდომარეობით დარიის მონასტრის სავანეში მოხდა თათბირი იმ კომიტეტისა, რომელსაც დავალებული აქვს მცხეთასთან ახლო მდებარე ჯვარის მონასტრის განახლების საქმე. კომიტეტმა დაადგინა ჯერ-ჯერობით დროებით გადახუროს მონასტერი.

✦ გორის ქართველებს შორის ქართული თეატრის დაწვამ მწუხარება გამოიწვია. განზრახვა აქვთ გამართონ წარმოდგენა და მთელი შემოსავალი გადასცენ თეატრის აღმადგენელ კომიტეტს. აგრეთვე გორის საურთიერთო ნდობის ბანკის მოსამსახურეთ განზრახვა აქვთ აღარ დალიონ ჩაი თორმეტ საათზე და მთელი საფასური უგზავნონ ქართული თეატრის ამგებს კომიტეტს, ვიდრე ხსენებული თეატრი არ დასრულდება.

---

# ევროპის ომი

**,,თემის‘‘ დეპეშები პეტროგრადის სააგენტოსაგან.**

**პეტროგრადი**, 11 ოქტომბერს. უმთავრეს სარდლის შტაბისაგან. ჩვენი ჯარები მდ. ვისლას იქით სწვდებიან უკან დახეულ მტრის არმიას. პილიციდან ჩრდილოეთით გერმანელებმა სუსტი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ჩვენ ისინი სკერნევიცისაკენ უკუ ვაქციეთ. პილიციდან სამხრეთით რადომის გზებზე ჩვენ ვაიძულეთ გერმანელ-ავსტრიელი ჯარები ბრძოლა დაეწყოთ. შეტაკების ფრონტი გაჭიმული იყო 10 ოქტომბერს 40 ვერსტის მანძილზე. ბრძოლას ალაგობრივ მტერიც გვიწევს. რადომის ტყეებში რამდენიმე ქვეითი პოლკი მამაცურად იბრძოდა ხიშტებით. ზოგან წავართვით ტყვიისმტყორცნელები და წამოვასხით ტყვეები. მდ. ილჟანკის ზევით ავსტრიელი ჯარები ჯერ კიდევ სცდილობენ შეკავებას მდ. ვისლაზე, ჩვენი ჯარები კი ბრძოლით გადადიან ხსენებულ მდინარეს.

მდ. სანის ფრონტზე და პრჟემიშლის სამხრეთით გრძელდება მედგარი ბრძოლა. გამარჯვება ჩვენსკენ არის. ჩვენ ბევრი ათასი ტყვე წამოვასხით. ტიჩენცასთან მაღლობების აღების დროს იაროსლავის სამხრეთით ტყვედ წამოვიყვანეთ 5 ავსტრიელი როტა. ავსტრიელთა თავდასხმის დროს ერთი იმ კორპუსთაგანის ფრონტიდან რომელნიც მოქმედებენ პრჟემიშლის სამხრეთით, ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე და 9 ტყვიის მტყორცნელი. იმავე კორპუსის მარცხენა ფრთამ დაიწყო შეტევა და ბევრი ტყვე წამოიყვანა, აგრეთვე წაართვა ბევრი იარაღი და ტყვია-წამლის ყუთი. ჩვენ გავფანტეთ მედგარ ბრძოლის შემდეგ მტრის კოლონა, რომელსაც ეჭირა ქ. სტრი. სტრიში 1000 ტყვე შევიპყრეთ. აღმოსავლეთ პრუსიაში არა მომხდარა-რა.

**პარიზი**, 11 ოქტომბერს. ოფიციალური ცნობა: მარცხენა ფრთაზე ბრძოლა გრძელდება. მტერმა წაიწია წინ ჩრდილოეთით დიქსმიუდედან და ლა-ბასსეს მიდამოებში. ჩვენ ძალიან წავიწიეთ წინ აღმოსავლეთით ნიუპორიდან ლანგემარკის ოლქში და არმანტიერსა და ლილს შუა. ეს მოძრაობა აუცილებელია ბრძოლის ლარზე, რომელიც საერთოდ ისევ ის რჩება. დანარჩენ ფრონტზე გერმანელების დღე და ღამე შეუჩერებელი თავდასხმა მოვიგერიეთ. ზოგიერთ ადგილებში ცოტათი წინ წავიწიეთ; ჩვენ წინ-სვლას ...ბდით ვევრის ოლქში მორ...ისაკენ, ტრიოკურის სამხრე... ლეპრეტროს ტყისაკენ, პონტ...ზე ჩრდილოეთით.

**...ოგრადი**, 11 ოქტომბერს. რა... და ივანგოროდს შუა ხშირად ... ბრძოლა გერმანელებსა და ... ჯარებს შუა. როცა ჩვენ ვსდევვხვდებით ავსტრიელებსა. როგორცა სჩანს გერმანული კორპუსები, რომელნიც ამ რაიონში მოქმედებენ, გაძლიერებული არიან ავსტრიის ქვეითი ბრიგადებით, რომელთაც გერმანელები ყველგან ავალებენ არიერგარდის მძიმე მოვალეობას. ამგვარად ავსტრიელების-მიერ მოტანილ მსხვერპლის წყალობით გერმანელები ახერხებენ თავიანთი ჯარების დაზოგვას. ამისთანა დამხმარე როლს თამაშობდა პირველ პოლონელ და მეხუთე უნგრელ კორპუსების ჯარების მომეტებული ნაწილი.

**სოფია**, 11 ოქტომბერს. ბულგარული სატელეგრაფო სააგენტო გადაჭრით უარჰყოფს პეტროგრადის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულ ხმას, ვითომც ბულგარეთმა შეჰკრა ოსმალეთთან სატევი და საგერი კავშირი, რომელიც მიმართულია სერბიისა, საბერძნეთისა და რუმინიის წინააღმდეგ.

**პარიზი**. 11 ოქტომბერი. გაზეთები აცხადებენ. გერმანელებმა რომ დაინახეს გამარჯვება სხვადასხვა ფრონტზე ვერ გვეხერხებაო, ჩრდილოეთ საფრანგეთში უკიდურეს ღონის ცდას მიმართეს.

,,ფიგაროში‘‘ დაბეჭდილია დესვანის წერილი, რომელიც შეიცავს პასუხს ჟიულეტა ადანის წერილზე. დესვანი აცხადებს, რომ ყველა პოლონელებს მხურვალედ სურთ საფრანგეთის გამარჯვება. პოლონეთი სრულის ნდობით არის გამსჭვალული იმ კეთილშობილურ სიტყვებისადმი, რომლითაც აღთქმულია პოლონეთის საზღვრების აღდგენა. პოლონეთი დადგა რუსეთის ბაირაღის ქვეშ იმ იმედით, რომ მისი გმირების სისხლი შესძლებს დიდი რუსეთის ძლიერი მფარველობის ქვეშ პოლონელთა გაბნეულ მიწების შეერთებას.

,,პტიპარიზიენში‘‘ საზღვრებიდან დაბრუნების შემდეგ ბრიანი სწერს, რომ ნახულმა გულის მომწყვლელი შთაბეჭდილება დასტოვა მასში. სამუდამოდ დაანახსოვდება დამწვარ-განადგურებული სოფლები, რომელნიც დარბეული არიან ბარბაროს არმიების მიერ.

იქვე ბრიანი აღნიშნავს საფრანგეთის ჯარის საუცხოო მდგომარეობას, სიმამაცეს და უპირატესობას არტილერიისას.

**ბორდო**, 11 ოქტომბერი. ლილის სამხატვრო მუზეუმში, რომელიც გერმანელებმა დასწვეს, მოთავსებული იყო დიდძალი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოები ვან-დეიკისა, რუბენსის, ვატტოსი, დელაკრუასი, აგრეთვე შესანიშნავი სანთლის თავი აღორძინების ხანისა, რომელიც საფრანგეთის კოლლექციის ერთ უმთავრეს და უძვირფასეს ღირებულებას შეადგენდა.

---

## მდგომარეობა ბრძოლის ველზე.

**კვირის განმავლობაში.**

...წყო ბრძოლა ივანგოროდის და ...ვის გზებზე, რომელშიაც რუსე... ...რმიამ გაიმარჯვა. რუსებმა გარე... ...ერმანელები მდ. ვისლას მარცხე... ...პირიდან და სდევნიან მათ.

...იციის ბრძოლის ველზე მდ. სა... ...რჟემიშლამდის და სამხრეთით მდ. ...ტრამდის სწარმოებდა სერიოზუ... ...ოპერაციები, რომელშიაც გამარ... ...ა რჩებოდა რუსეთის ჯარებს.

...ამოსავლეთ პრუსიაში ცვლილება მომხდარა-რა.

...ამის დასავლეთ ასპარეზზე ანტვერ... ...ის აღების შემდეგ ბელგიის არმია ...კადა ინგლისელ ჯარებთან ერთად, ...ელნიც ოსტენდეში გადმოსხდენ, ...ებოდა საფრანგეთის არმიის მარ... ...ფრთას. ეს მან მოახერხა. ამ ...ად ფრონტის ლარი გაიჭიმა ჩრდი... ...თ ზღვამდის. ამ ადგილებში მო... ...რენი ძლიერ წინააღმდეგობას ...ენ გერმანელებს.

...ლგიელი მთავრობა გადავიდა სა... ...გეთის ტერიტორიაზე და დაბი... ...ა ჰავრში. თვით მეფე ალბერტი ...არჩა თავის ჯარებთან. ამგვარად ...და იშვიათი შემთხვევა: სახელმწი... ...ს შერჩა სუვერენიტეტი, დროებით ...დაეკარგა თითქმის მთელი ტერი... ...ია. ყველა ჰფიქრობს, რომ გერ... ...ლები ანტვერპენს გადააქცევენ ინ... ...ისის წინააღმდეგ საბრძოლველ ბაზად. მოაწყობენ საჰაერო და წყალქვეშე ფლოტს.

ნეიტრალური სახელმწიფოები მაინც კიდევ გამოურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ.

რუმინიის მეფის კარლოს I გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ მაინც გარკვეული რამ არა მოიმოქმედა რა.

იტალიაში გარდაიცვალა გარეშე პოლიტიკის ხელმძღვანელი ცნობილი მარკიზი დი-სან-ჯულიანო, რომელიც დიდი მომხრე იყო სამთა კავშირის და ნეიტრალიტეტის დაცვისა. მისი სიკვდილის შემდეგ იტალიის გარეშე პოლიტიკაში ჯერ-ჯერობით ცვლილება არა მომხდარა რა.

ოსმალეთში მშვიდობიანობის დაცვის პოლიტიკა იმარჯვებს თანდათან. ტახტის მემკვიდრე იუსუფ-იზედდინი დაინიშნა უმთავრეს სარდლად, ასე რომ გერმანელების ბატონობას თითქო ბოლო ეღება. ოსმალეთის მთავრობა გართულია ყოველგვარ ევროპიულ კომისიების და დაწესებულებების გაუქმების საქმეში, რომელიც დაუწესა ოსმალეთს ევროპის ,,მზრუნველმა ხელმა‘‘.

ბულგარეთის პოლიტიკას პატარა ცვლილება დაეტყო. გენ. რადკო დმიტრიევის მიერ ელჩობაზე ხელის აღების შემდეგ ბულგარეთის ელჩად რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თში დაინიშნა რუსოფილი ლიუდსკანოვი. მთავრობა აღარ უკრძალავს ხალხს თანაგრძნობის გამოცხადებას რუსებისადმი. თვით მეფე ფერდინანდი მიესალმა რუსის მგზავრებს, რომელნიც ევროპიდან რუსეთში მოდიოდენ ბულგარეთზე. ძმ. ბაქსტონების დაჭრამ ახალ ოსმალების-მიერ ბუქარესტში, რომელნიც სცდილობდენ ბულგარეთის და სამთა შეთანხმების დაახლოვებას, დიდი აღშფოთება გამოიწვია ბულგარეთის საზოგადოებაში.

## დიდხანს გასტანს დღევანდელი ომი?

ეს საკითხი ვის არ აინტერესებს დღეს?.. ბევრი ჰფიქრობს, მაგრამ ვერც ერთს ნამდვილი პასუხი ვერ მოუნახია.

შეიარაღების მხრით ისე მოეწყვენ არმიაცა და ფლოტიც ყველა სახელმწიფოებისა, რომ საქმეში ჩახედულნი ჰფიქრობდენ აქამდინ ომი დიდხანს ვერ გასტანსო; ბევრი სისხლი დაიღვრება, მაგრამ ომი კი ძალიან გრძელი არ იქნებაო.

ამ მოსაზრებას ამყარებდენ ისტორიულ ფაქტებზე. ამბობდენ 1866 წლის ომი დაიწყო 3 ივნისს და გათავდა 14 ივლისს პრელიმინარულ ზავით ნიკოლსბურგში. ამ ომმა ამნაირად გასტანა მხოლოდ 7 კვირას.

1870 წლის ომი დაიწყო 7 ივლისს, როცა ბენედეტტიმ საფრანგეთის მთავრობის მხრით ომი გამოუცხადა გერმანიას, 25 ივლისს კი უკვე გარღვეული იყო ფრონტი ფრანგების ჯარისა. 5 აგვისტოს მთავარი არმია ბაზენის უფროსობით რეზონვილთან და მარსლა-ტურთან დიდი სისხლის ღვრის შემდეგ გარშემორტყმული იყო მეტცის ციხეში. არ გასულა სამი კვირაც ამის შემდეგ, რომ საფრანგეთის მეორე არმიაც მაკ-მაგონის უფროსობით იძულებული გახდა ტყვედ ჩავარდნოდა გერმანელებს სედანთან 21 აგვისტოს. ამის შემდეგ 1871 წლის 16 იანვრამდის, როდესაც ზავი შეიკრა, ექვსნახევრის თვის განმავლობაში მხოლოდ პარტიზანული ომი სწარმოებდა, რომელიც მოწყობილი იყო ლეონ გამბეტას მიერ.

ამ საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს ორივე მოპირდაპირე მხარე თითქმის თანაბრად იყვნენ შეიარაღებული. მართალია ფრანგების თოფი შასპოს სისტემისა სჯობდა გერმანელების დრეიზერის ძველ თოფს, სამაგიეროდ გერმანელების არტილერია გაცილებით სჯობნიდა ფრანგებისას. ამათი მიტრალიეზები უვარგისი გამოდგენ.

ახლა, რაკი შეიარაღების საქმემ უფრო წინ წაიწია, გაჩნდენ ახალი სისტემის თოფები, ტყვიისმტყორცნელები, ჰაეროპლანები და სხვ., ამიტომ ჰფიქრობენ, დღევანდელი ომი ხანგრძლივი არ იქნებაო. მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომმა 1904—1906 წლ. დაგვიმტკიცა, რომ ეს მოსაზრება სწორე არ არის. თუმცა ომის ასპარეზი ძალიან დაშორებული იყო როგორც რუსეთისა, ისე იაპონიისაგან, მაგრამ ამ გარემოებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია იმის ხანგრძლივობაზე. საქმე ის არის, რომ, რაკი ახლა მოპირდაპირეები უფრო დახელოვნებული არიან შეიარაღების მხრით და უფრო მრავალრიცხვოვანი, ამიტომ წინანდელი იერიშით მისვლა მტერზე აღარ შეიძლება. გამარჯვებამდის საჭიროა ჯერ შორეული ცეცხლით აურ-ზაური შეჰქმნა მოპირდაპირეს არმიაში, ან რომელიმე ხერხის ხმარებით პოზიცია დაატოვებინო. ყველა ეს კი დიდ დროს თხოულობს მით უფრო, რომ ბრძოლა ხდება ძალიან გრძელ ფრონტზე. რომ მოუაროს მოპირდაპირემ მტრის არმიას, 300—400 ათას კაცისაგან შემდგარს, ან პოზიცია დაატოვებინოს, ამისათვის სჭირდება მას გაცილებით უფრო მეტი დრო, ვიდრე ადრე, როდესაც მოხერხებული თავდასხმა ერთი ან ორი პოლკისა სწყვეტდა ბრძოლის ბედს. ახლა სამოქმედო ანუ საოპერაციო ლარი გაჭიმულია რამდენიმე ათი ან ასი ვერსტის მანძილზე. ერთგან რომ წინ მიიწევს არმიის ნაწილი, მეორეგან იხევს ზოგჯერ; ყველა ეს კი აჩერებს სამხედრო მოქმედებას ან ასუსტებს; გამოსწორებას კი დრო უნდა.

ამიტომ დღევანდელი ომის დროსაც, როგორც „უტრო როსიის“ გაზეთის მიმომხილველი ამბობს, ასე მალე ვერ გაჩუმდება ზარბაზნები. მდ. მარნაზე, ენზე და მაასზე (საფრანგეთში) ბრძოლამ დაგვიმტკიცა, რომ ისტორიაში არ-თქმულ ხანგრძლივ შეტაკებას მაინც შესამჩნევი შედეგი არ მოჰყვა. ეს გარემოება ამტკიცებს, თუ რას წარმოადგენს დღევანდელი ომი. აღმოსავლეთ ფრონტის ომის შესახებ „რუსკი ინვალიდი“—ეს სამხედრო მაღალ ავტორიტეტული ორგანო -ამბობს, რომ ომს ბოლო ვერ მოეღება 1915 წლის გაზაფხულის მიწურულის ან ზაფხულის ადრე, როდესაც უეჭველია, გერმანია საბოლოოდ დამარცხდება.

## ჰორიზონელების პროვოკატორული საქციელი.

ახალმა ადგილობრივმა რუსულმა გაზეთმა „კავკაზსკოე სლოვომ“ 11 ოქტომბერს გულუბრყვილოდ გაგვიწია ერთი დიდი სამსახური. მან თვალნათლად დაგვანახვა, თუ რას წარმოადგენს გაზეთ „ჰორიზონის“ ბანაკი.

რუსულმა გაზეთმა პრესის მიმოხილვაში მოიყვანა ნაწყვეტები პეტრე კროპოტკინის მეორე შესანიშნავი წერილისა და ბოლოს სრულებით უადგილოდ მიუმატა შემდეგი ნაწყვეტი გაზ. „ჰორიზონიდან“:

„სტამბოლის ქუჩებში გაჩნდენ საეჭვო პირები ფაფახებში და ჩოხებში გამოწყობილნი, ხანჯლებით მორთულნი,—თითქო უხეში უვიცები, თითქო შანტაჟისტები. გამომზეურდენ რამდენიმე „ხაჩაგოგები“ დუშეთის ხაზინის გამცარცველები. იმათ საიდუმლოდ ითათბირეს სხვადასხვა პირებთან და გამართეს ლაპარაკი ქართველი ხალხის სახელით, რომელმაც არც კი უწყის ამ არამზადების არსებობა“.

მოჰყავს „კავკ. სლოვოს“ ეს ამონაწერი „ჰორიზონიდან“, მართალია, შენიშვნას უკეთებს, მაგრამ ეჭვი არ ებადება: იქნებ ეს პროვოკატორული ამბავი განზრახ შეხანხლულია ქართველი ხალხის გასაწბილებლად, თორემ ვინ არ მიხვდება, რომ მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობას ამ ყოვლად საჩოთირო საგანზე დაეწყო „არამზადებთან“. იგი არც ისე ჭკუამჩატე და ფრთა-ფართატა პირებისაგან შესდგება, როგორც ეს ჰგონებია გულუბრყვილო ხელმძღვანელს რუსული გაზეთისას.

ამ ნაწერის წამკითხველს უეჭველად ეჭვი დაებადება მთელი ქართველი ხალხის ლოიალობაში. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთებს ეს კარგა ხანია სწადიათ როგორმე ჩვენ ხალხს გაუტეხონ სახელი, მაგრამ ამაოდ. ჩვენი სინამდვილე ამ მართლაც-და უცხო „არამზადებს“ ხელს არ უწყობს. გაიხსენეთ, რაებს არ ავრცელებდნენ ვიგინდარები ომის დასაწყისის დროს, ქართველი ხალხის შესახებ. ჩვენმა ხალხმა ისეთი ერთსულოვნობა გამოიჩინა სამხედრო მოწოდების დროს, რომ ბევრი მტერიც კი გააკვირვა.

„კავკ. სლოვოს“ უნდა თვითონ გამოეცხადებინა ყალბად „ჰორიზონის“ ნათქვამი და არ დაეჯერებინა მისთვის.

ეს თავის შეცდომა „კავკ. სლოვომ“ სცადა გაესწორებინა გუშინდელ ნომერში, რომელშიაც „ჰორიზონის“ ნაამბობს „ცილის წამებელის შეთხზული“ უწოდა და პროტესტის საჭიროება დაინახა. მაგრამ რაღა დროს? მას შემდეგ, როცა ნათხრობი ამბავი უკვე გავრცელდა და ააღელვა ყველა ქართველი, მიმართულების განურჩევლად.

ვის არ აუმღვრევს, მართლაც, გულს ასეთი საზიზღარი პროვოკაცია?..

აი რა სამსახური გაუწია ქართველ-სომეხთა ერთობას „ჰორიზონმა“!..

ყველა ეს გვიმტკიცებს, თუ რა სიფრთხილე გვმართებს ქართველებს.

გაზ. „ჰორიზონს“ ვურჩევთ თავი დაანებოს ასეთ გზას, თუ არა სურს, რომ ყველა პროგრესიულმა ორგანომ და ელემენტმა ზურგი შეუბრუნოს.

ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან ჩვენი პოზიცია სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხში. ჩვენ ყოველთვის მათ შორის კეთილ ურთიერთობის დამყარებას და განმტკიცებას ვემსახურებით. ამიტომაც აღგვაშფოთა ჰორიზონელების დასაგმობმა საქციელმა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენთან ერთად იქნება ამ საქციელის შეფასებაში სომხის საზოგადოების საუკეთესო ნაწილიც.

„კავკ. სლოვოს“ ხელმძღვანელს კი აღარას ვეტყვით. „ჰორიზონისაგან“ პირდამწვარი იგი, უეჭველია, შემდეგში „დოსაც“ დაუწყებს ზრვას.

## ჟამსა წუხილისასა.

სათუთ სიმთ შეკრულ ჰანგთა წყობათა სფეროში თავდავიწყებულ მელპომენას ანაზდეულად სახე გაუციაგდა, არ გადაავლო თვალი თვისს სულიერ განცდათა ტაძრის რიდე—ახდილ სანახაობას... მის სფეროში მოოჭილ შუქორ-ვარსკვლავთაც ტუჩის ფერი წასვლოდათ და გულის ციმციმ-ფანცქალით უპზერდენ თავიანთ მსგავს წითელ წერტილებს, მათკენ ფრთა ნაკრავთ...

პირველი წერტილი თვით მელპომენის ედემის კარს-გულის ფიცარს—მისწვდა და პირველი ცრემლი მისვე ედემში დაიფრქვა...

ამ პირველ შიკრიკს მალე ათი და ასიათასი სხვა მის მსგავსნი აფორიაქებულნი ალისფერი წერტილები აჰყვნენ. მელპომენის სამეუფომაც ჟამსა მწუხრისასა ალისფრად ინათა...

ამ ფერისცვლაზე მისი საზრძანებელი ზარდაცემული მსწრაფლ ფეხზე დადგა.

გაისმა უცხო რამ ებან-წინწილათა ნარნარი... მოჰყვა ზე არსთა, ზეციურ, საგალობელთა შეხამ—შეხმატკბილებული, იდუმალ ხმათა მოძახილი...

დაინთო კოცონი განწმენდისა.

გადიშალა თვით მარტიროლოგიის ფურცლები მახარობლებისა... მოხდა თვით გარდასულ სულთა კრება...

დადგა ციური რამ ლოცვა, წარმტყვეველი ბოროტ ზრახვათა და გაისმა კიდით კიდემდე ღაღადი ერთმორწმუნე მლოცველთა:

— არა წარვხოცოთ გულთა ჩვენთა **სიმტკიცე** სულისა, არა უგულებელ ვყოთ **სასოება** ჟამსა წუხილისასა...

**ფერფლი.**



გერმანელების არტილერია ყუმარებს უშენს ბელგიის ქ. ლიეჟის სიმაგრეებს.

### ბ ე ლ გ ი ა.

მამაცმა ბელგიელებმა თავიანთ დაუნდობელ მტრის გერმანელების მოსაგერებლად მიჰმართეს შემდეგ ხერხს: თავიანთი წყლის საგუბარი ოფოები (შლიუზები) ახსნეს და წყლით აავსეს ის ადგილები, სადაც გერმანელები იდგენ და ემზადებოდენ ბელგიელების აკლება-აოხრებას.



ჟილეპპის ოფო (შლიუზი),

გაკეთებული 1867—1878 წლ.; სიმაღლე 235 მეტრია, ოფოს შუაგულში ლომის ქანდაკებაა. ლომის ფიგურა 13 მეტრისაა.

## მოწოდება.

**ქართველ მასწავლებელთა მიმართ.**

დაუნდობელმა სტიქიონმა შთანთქა ჩვენი ერთი უმთავრესი კულტურულ დაწესებულებათაგანი — თეატრი, რომელსაც ეროვნულ კეთილდღეობისათვის მრავალი წლის შრომა-მოღვაწეობამ ჩაუდგა სული.

მოგვესპო ის წმინდა ტაძარი, სადაც დღეს კიდევ მძლავრად სცემდა ქართველური გული და ენთო წმინდა ლამპარი ჩვენის ერისა, რომლის გარშემო აღზრდილა და დღესაც ვითარდებოდა არა ერთი და ორი ქართველის შემოქმედება. მომავალშიაც ბევრ რამეს ჰპირდებოდა ჩვენს უნუგეშო ყოფას.

ყველა ქართველმა, ვისაც კი შერჩენია ჭეშმარიტ კაცობრიულ და მამულიშვილურ გრძნობათა განცდის უნარი და ეროვნული თავმოყვარეობის მნიშვნელობის შეგნება საერთო ტკივილი საკუთარ ტკივილად მიიჩნია და ეს ჩვენი ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათა განსაცდელი საკუთარ უბედურებად ჩასთვალა. გულის სიღრმემდე აღაშფოთა იგი თავზარ-დამცემმა უბედურებამ...

ჩვენ,— მომავალ თაობის სწავლა-აღზრდის საქმის მესვეურნი, უფრო მოვალენი ვართ ვიდრე სხვა ვინმე გამოვეხმაუროთ საზოგადოების საჭიროებას, და ჩვენის ქვეყნის უცებ გაჩენილ წყლულის დაამებაში ჩვენი საკუთარი წვლილიც შევიტანოთ.

აღვიჭურვოთ ვაჟკაცურის მოთმინებით და ვსთქვათ უარი, ან თითო ბოთლ ღვინოზე თვეში, ან თითო „პაჭკა“ თუთუნზე, ან სხვა რამ ასეთ სახარჯოზე და მისი ღირებულება— რამდენიმე გროში—ჩვენს წმინდა საქმეს, ეროვნულ წყლულის მოსაშუშებელ წამალს შევსწიროთ!...

მართალია, ეს ჩვენ-მიერ ტანჯვით გაღებული წვლილი ზღვაში წვეთი იქნება, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ თვით ზღვა წვეთებისაგან შესდგება და ჩვენი რამდენიმე აბაზიც საკმაო თანხას შეუქმნის ქართველობას, თუ კი ყველა ქართველი მასწავლებელი იგრძნობს ამ მოვალეობას თავის სამშობლო ქვეყნის წინაშე.

საჭიროა აგრეთვე მოსწავლეებსაც, —მომავალ ქართველ თაობას—განურჩევლად წლოვანობისა, ავუხსნათ შესაფერის სიტყვით ჩვენი უბედურება, რომ იმათაც ქვეყნის საქმეში მონაწილეობა მივაღებინოთ. დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ისინიც არა ნაკლებ იგრძნობენ და განიცდიან თავიანთ ნორჩი გულით სამშობლოს მწუხარებას. მათ მიერ შემოწირული თითო-ოროლა კაპეიკი, გრწამდესთ, ბევრად უფრო ძვირფასი და სასიხარულო იქნება, ვიდრე მათის მშობლების მიერ გაღებული მანათები.

მხოლოდ, რასაკვირველია, ძალდატანებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შეწირულების მნიშვნელობა თვითონ ბავშმა უნდა იგრძნოს.

საჭიროა დღესვე მხნედ და გულწრფელი სიყვარულით შევუდგეთ საქმეს...

მაშ, ერთხმად ძმებო, ყველამ გაუწოდოთ ერთმანეთს ხელი და გავუშუროთ ჩვენი სამშობლოს დანაცრებულ სიამაყის მკვდრეთით აღსადგენად!..

**ოდიშელი.**

## ბისმარკი და რუსეთი.

ბევრს აინტერესებს კითხვა, თუ რა აზრისა იქნებოდა დღევანდელ ამბების შესახებ თავადი ბისმარკი ცოცხალი რომ ყოფილიყო.

ამჟამათ მოსძებნეს ახალ ახალი საბუთები, რომლიდანაც ჩანს, რომ ბისმარკი არც ისეთი ავსტროფილი ყოფილა, როგორც აქამდინ ეგონა ყველას.

ბისმარკი ყოველთვის განსხვავებას ხედავდა ავსტრია-უნგრეთის და გერმანიის ინტერესებს შუა. 1887 წელს 11 იანვარს რეიხსტაგში წარმოუთქვამს კიდეც სიტყვა, რომელშიაც გამოუთქვამს აზრი, რომ ბალკანეთის საქმეების გამო რუსეთს არ დაუწყებს ჩხუბს.

— რა არის ჩვენთვის ბულგარეთი? უთქვამს მაშინ ბისმარკს. ჩვენთვის სულერთია, ვინ იქნება მმართველად ბულგარეთში ან რა დაემართება ბულგარეთს. ჩვენთვის მთელი აღმოსავლეთის საკითხი სრულიად არ არის ომის საკითხი. არავის მივსცემთ ნებას ჩვენ მიკერილი ვყავდეთ, რომ წავეჩხუბოს რუსეთთან. ჩვენთვის ამ ქვეყანასთან მეგობრობა უფრო საჭიროა, ვიდრე ბულგარეთთან და ყველა იმ ბულგარეთის მეგობრებთან, რომელნიც გვყავან ჩვენს ქვეყანაში“.

ამის შემდეგ მალე იტალიის მთავარ მინისტრს კრისპის ბისმარკმა განუზიარა, რომ არ უნდა შევუშალოთ ხელი რუსებს სტამბოლის დაპყრობაში, რადგანაც ოსმალეთის მთავარ კალაქის მფლობელობა შეასუსტებს რუსეთსო. კრისპი კი სულ სხვა აზრისა იყო. იგი ჰფიქრობდა, რომ, თუ რუსეთი დაიპყრობს სტამბოლს, მაშინ გაბატონდება მთელს აღმოსავლეთსა და ევროპაშიაც.

ბისმარკი თავის მემუარებში ამბობს რომ გერმანიამ ყოველგვარად ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის სტამბოლში გამაგრებას, რადგანაც, როდესაც გამაგრდება, მაშინ უსიამოვნება მოუვა ინგლისსა, იტალიასა და საფრანგეთთან ხმელთა შუა ზღვაზეო. ავსტრიამაც სწორედ ამ გზით უნდა იაროს. ერთის სიტყვით, გერმანიამ უნდა უმეგობროს რუსეთს, მაგრამ ამავედროს არ უნდა მიუშვას ავსტრია რუსეთთან სრულ შეთანხმებამდის, თორემ, თუ როგორმე ავსტრიამ თავის განწყობილება გერმანიასთან შესცვალა, ადვილად შეიძლება გერმანიის წინააღმდეგ გაჩნდეს შვიდიწლის ომის კოალიციაო.

## რუსეთის პოლიტიკა გალიციაში.

პეტერბურგის გაზეთი „რეჩი“ ამბობს: „რანაირიც უნდა იყვეს კეთილი განზრახვა და საჯარო განცხადება ახალი მთავრობისა, რომელიც თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ და რომელთაც გამოიწვიეს ჩვენი თანაგრძნობა, ჩვენ უნდა ყოველ შემთხვევაში, დავუცადოთ ფაქტებს. ეს ფაქტები ძალიან ცოტა აღწევს პრესამდის. ყველაზე თვალსაჩინო და ყოველ ეჭვს გარეშე ფაქტათ უნდა დაისახოს სავალდებულო დადგენილება, რომელიც გამოაქვეყნა „პრიკარპატსკი რუსმა“ და რომელიც გამოსცა დროებით გენერალ-გუბერნატორმა გალიციისამ გრაფმა ბობრინსკიმ.

ამ დადგენილების ტექსტი შემდეგია:

„აკრძალულია გაყიდვა წიგნის მაღაზიისა და კიოსკებიდან, აგრეთვე წასაკითხად მიცემა ბიბლიოთეკებიდან წიგნებისა რუსულ ენაზე და უკრაინულ (მალოროსიულ) დიალექტზე, რომელნიც გამოცემული არიან რუსეთის იმპერიის საზღვრების გარეშე. ყველა ამგვარი წიგნები უნდა შეგროვებულ იქმნას ცალკე ადგილას ადგილობრივ მთავრობის ჩვენებით.“

„პეტროგრადის კურიერი“ სარგებლობს გრ. ბობრინსკის მოწოდებით, რომლითაც მან მიმართა რუსეთის და საზღვარ-გარეთის პრესის წარმომადგენლებს და სთხოვა დაწვრილებით გამოეკვლიათ გალიციის მოთხრენილება და საჭიროებანი და [illegible]

„გალიცია—[illegible] რუსის ქვეყანაა. მთელი მის ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია სამხრეთ რუსეთის ისტორიასთან. კარგახანია დაჰკარგა მან დამოკიდებული არსებობა, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ყველა თავისებური ნიშნები და მათ შორის-უმთავრესად „მამაპაპათა ქონება“-ენა, თავის საკუთარი გალიციური უკრაინული ენა. ამ ენის დატოვება ხალხისათვის—უმთავრესი საგანია, რომელსაც უნდა მიაპყროს ყურადღება მთავრობამ.

„ახლა, როდესაც მსოფლიო ისტორიის სარბიელზე გამოტანილია დიდებული საყოველთაო ლოზუნგი—„ეროვნების თავისუფლება“—საჭიროა განსაკუთრებულის სითუთობით და პატივისცემით მოვეპყროთ ყველაფერს, რაც კი შეადგენს დიდი ხნის შენაძენს ყოველ ეროვნებისას. გალიციელები დაჩვეულნი არიან თავიანთ სამშობლო უკრაინულ ენაზე ლაპარაკს, წერასა და კითხვას. ეს უფლება უნდა დაეტოვოს მათ.

„თავისუფალი ენა აძლევს საშუალებას ერს მაქსიმალურ კულტურულ განვითარებისას,—ეს ხომ ტრუიზმია. შეცდომაა იფიქროს კაცმა, ვითომც თავისუფალი ენა გზას უკაფავს სეპარატისტულ მისწრაფებას. ინგლისელების მიერ დაპყრობილი ბურების რესპუბლიკები სარგებლობენ ნაციონალურ თავისუფლების ყველა სიკეთითა და მთელ ქვეყნიერებას აძლევენ მაგალითს უმაღლეს ლოიალობისას.

„და თუ არსებობენ ახლა გალიციური სკოლები, გაზეთები, ჟურნალები, საზოგადოებანი, კავშირები და სხ.—დაე განაგრძონ მათ თავიანთი არსებობა. თუ ლვოვის უნივერსიტეტში არსებობენ გალიციური კათედრები,— დაე აყვავდენ ისინიც“.

ჭეშმარიტად სამართლიანი აზროვნებაა,—დავუმატოთ ჩვენც.

## ქართველ მოწაფეების თანაგრძნობა

(წერილი ბაქოდან.)

28 სექტემბერს კვირა დღეს ბაქოს ქართული სკოლის უფროს განყოფილებათა მოწაფეები და მ სწავლებლები სკოლაში იყვნენ თავმოყრილი... იმ დღეს ჩვეულებისამებრ საბავშვო კითხვა იყო გამართული.

მოსწავლეები, მასწავლებლების ხელმძღვანელობით, კითხულობდენ „ნაკადულიდან“ ერთს მოთხრობას.

სწორედ იმ დროს, როდესაც ხელოვანი მწერლის მიერ მოხერხებულად დასურათებულ ადგილს მოთხრობისას კითხულობდნენ და მსმენელნი, მოთხრობის გმირის მოქმედებით იყვნენ გატაცებულნი, სკოლის დარაჯმა შემოიტანა ახლად ფოსტით მოსული რამდენიმე წერილი და გაზეთი. ჩვენ და მოწაფეებმაც უკვე დეპეშებიდან ვიცოდით 25 სექტემბერს მომხდარ უბედურების შესახებ მხოლოდ გულის ძგერით ველოდით დაწვრილებით ცნობებს, რომელიც სწორედ ამ ნომერ უნდა მოეტანა...

ამიტომაც იყო, რომ წერილებზე უმალ გაზეთს მივარდით. იდუმალი სულისკვეთება, რომელმაც შეგვიპყრო მასწავლებლები რაღაც ელექტრონული ძალით მოწაფეებზედაც გადავიდა. მყისვე შესწყვიტეს მოთხრობის კითხვა. ხელების ძიგძიგით გახსნა ერთმა სკოლის ხელმძღვანელთაგანმა გაზეთი და ამოიკითხა, ეხლა უკვე ცნობილი, გულსაკლავი ამბები და ცრემლ-ნაღველი სავსე წერილები...

ირგვლივ მკვდარი დუმილი სუფევდა.

მოწაფეებიც თვალებ გამოცეცებული ისმენდნენ გაზეთში წაკითხულს. აი გაისმა კიდეც მათში მწუხარებით ამოგვნება, ჩჩვილი გულის სიღრმიდან ამონახეთქი.

როდესაც მივაღწიეთ წერილის იმ ადგილს, სადაც დახმარების შესახებ იყო ლაპარაკი, რამდენმამე მოწაფემ ერთხმად შემოგვძახა გულუბრყვილო კითხვები:

— ხომ შეიძლება-ჩვენც დავეხმაროთ?

— ჩვენც გავაგზავნით რამესო!..

ჩვენც შესაფერის თანაგრძნობით შევხვდით იმათ სურვილს და შესაფერივე სიტყვებით ავუხსენით, თუ ვინ დაზარალდა ამ უბედური შემთხვევით და რაში გამოიხატა ზარალი.

მეორე დღესვე ბავშვებმა თავიანთი წვლილის შეგროვება დაიწყეს. სწირავდენ შაურიდან დაწყებული, ერთი სიტყვით, ვისაც რამდენი შეეძლო. ბავშვების სახეზე არაჩვეულებრივი ნაღველი იხატებოდა და თან ამ ნაღველში რაღაც იდუმალი სიამოვნება გამოჰკრთოდა; ალბად უხაროდათ, რომ დიდს საზოგადო საქმეში, საერთო გაჭირვებაში, მათაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. **ო—ელი.**

## ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი.

კვირას, 5 ოქტომბერს, თბ. სადეპ. საკრებულოს დარბაზში თბ. გუბ. თავადაზნ. წინამძღოლის თავ. კონსტ. აბხაზის თაოსნობით შესდგა თათბირი თბილისში არსებულ ყველა ქართულ განმანათლებელ და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა იმ კითხვის გარდასაწყვეტათ, თუ რა ზომა უნდა გამოიძებნოს, რომ რაც შეიძლება მალე ქართული თეატრი აიგოს ხელ-ახლა.

თათბირზე მოწვეული იყვენ 28 დაწესებულების წარმომადგენელნი.

მონაწილეობა თათბირში მიიღო მეოთხე სათათბიროს დეპ. აკ. ჩხენკელმა. თათბირს დაესწრო აგრეთვე ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი, რომლის შემოსვლისთანავე ყველანი ფეხზე წამოდგენ და მიესალმენ.

თავ. აბხაზმა მოკლედ აღნიშნა ის უბედურება, რომელიც დაემართა ქართველ საზოგადოებას თეატრის შენობის დაწვით. აღნიშნა, რომ წინა საღამოს იყო გამართული კერძო ბჭობა ამ საგნის თაობაზე, რომელზედაც გადასწყდა ზოგიერთი საკითხი. თავ. აბხაზმა დაავალა იმ ბჭობაზე დამსწრე გ. გვაზავას კრებისათვის მოეხსენებინა მაშინდელი დადგენილება. გ. გვაზავამ მოახსენა კრებას, რომ ბჭობის დროს სასურველად იცნეს თბ. ქართ. დრამ. საზოგადოებასთან აერჩიათ ცალკე კომისია ფულის შესაკრებად და შენობის საქმის მოსწყობად. კრებას მოხსენდა აგრეთვე საკრებულოს დეპუტატის ა. მაღალაშვილის ცალკე აზრი, რომ თეატრის აგების საქმე უნდა სადეპუტატო საკრებულომ იკისროს.

კრების უმრავლესობა—შ. მესხიშვილი (დრ. საზ. გამგის წევრი), იოს. ბარათაშვილი (დრ. საზ. გამგეობის წევრი), ექვთ. თაყაიშვილი, იოს. იმედაშვილი, ივ. ზურაბიშვილი, და სხვ. იმ აზრისა იყო, რომ თბ. ქართ. დრამ. საზოგადოებასთან დაარსებულიყო კომიტეტი. ხოლო აკ. ჩხენკელი, გ. ჟორდანია, გ. დიასამიძე იმ აზრისა იყვენ, რომ ეს საქმე ცალკე მოწყობილიყო, როგორც დიდი ეროვნული განსაკუთრებული მოთხოვნილება. აკ. ჩხენკელი უფრო შორს მიდიოდა. მან მოითხოვა ცალკე საზოგადოების დაარსება, რომლის კუთვნილება უნდა ყოფილიყო მომავალი თეატრი. პ. გოთუამ განაცხადა, რომ საჭიროა დასავლეთ საქართველოს საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები შევიდნენ კომიტეტში. ეს აზრი კრებამ მოიწონა.

რომ საქმე უფრო რიგიანად გაჩარხულიყო კრებაში გამოითქვა აზრი ერთ ხმად ერთი გადაწყვეტილების მიღების საჭიროებისა, რადგანაც ამ საერთო გარდაწყვეტილებას უფრო მეტი ფასი დაედება ხალხის თვალში. ამასთანავე უმატებდენ ზოგიერთნი, ახალ დაწესებულების შექმნას ბევრი დრო მოუნდება და ეს გარემოება შეაფერხებს ფულის შეკრების საქმესო. საერთო გარდაწყვეტილების საჭიროებაზე მეტად გულწრფელი სიტყვა წარმოსთქვა ქართულ გიმნაზიის ახალმა დირექტორმა ბ. ალ. ჰეჰინაძემ.

კრებამაც ეს საჭიროება გაიზიარა და გამოიტანა შემდეგი საერთო დადგენილება:

„კრება სცნობს საჭიროდ, რომ ქართულ თეატრის განახლება-აღდგენისათვის უნდა დაარსდეს საერთო ქართული ორგანო და სხვადასხვა პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო სათანადოდ მიიჩნევს ამ ორგანიზაციის სახით შესდგეს ქართ. დრამ. საზოგადოებასთან განსაკუთრებული კომისია ქართულ განმანათლებელ, კულტურულ და ფინანსიურ დაწესებულებათა, აგრეთვე ჯრესის წარმომადგენელთაგან, რომელნიც უნდა ირიცხებოდენ დრ. საზ—ის წევრებათ. ეს კომისია, თანახმად დრ. საზ. წესდების 18-ე მუხლისა, ქართ. თეატრის აღდგენის საქმეს უნდა განაგებდეს სრულიად დამოუკიდებლად ხსენებულ საზოგადოების გამგეობისაგან და თვისს მოქმედებაში უნდა ემორჩილებოდეს დრამატ. საზოგადოების საზოგადო კრებას, ზემოხსენებულ ქართულ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთაგან შევსებულს".

კრებამ გადასწყვიტა შეადგინოს სია კომისიის წევრთა კანდიდატებისა. კრებამ დაადგინა აგრეთვე ეთხოვოს დრამ. საზოგადოების გამგეობას, რომ ხსენებულ საზოგადოების საზოგადო კრებაზე არჩეულ იქმნას კომისია სწორედ ამ პირთაგან. თუ, ვინიცობა არის, რომელიმე მათგანი არ ირიცხება საზოგადოების წევრათ,—წინასწარ არჩევისა, უნდა ჩაეწეროს წევრათ.

კანდიდატების სიის შესადგენათ 5 ოქტომბრის კრებაზე აირჩიეს 8 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც 7 ოქტომბრის კრებას წარუდგინა შემუშავებული სია. ეს სია კრებამ დაამტკიცა. კრებაში აღიძრა საკითხი, რომ დრ. საზ. გამგეობის ყველა წევრები ერთობრივ შევიდნენ ამ კომისიაში.

ზოგიერთი დამსწრე წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა, რადგანაც ეს შეაფერხებს კომისიის დამოუკიდებლობასო, მაგრამ უმრავლესობამ მაინც მიიღო ეს წინადადება.

პროვინციის წარმომადგენლობიი შესახებ კრებამ გადასწყვიტა მიენიჭოს კომისიას უფლება თვისის თაოსნობით მოიწვიოს პროვინციიდან ნამდვილის წევრის უფლებამოსილობით ყველა ის პირნი, თუ დაწესებულების წარმომადგენელნი, რომელთაც საჭიროდ დაინახავს.

კომისიას დაევალა ფულის შეგროვება და ის წინასწარი მუშაობა, რომელსაც მოითხოვს თეატრის აღდგენის საქმე.

დასასრულ კრებამ საჭიროდ სცნო შეცვლილ და განმარტებულ იქმნას დრამ. საზოგადოების წესდების ის მუხლები, რომლებიც შეეხება საზოგადოების უფლებას უძრავ ქონების შეძენისას.

თათბირზე მოწვეული იყვენ შემდეგი დაწესებულებანი: 1) თბილისის თავად-აზნ. წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულო, 2) ქართ. დრ. საზ. გამგეობა, 3) წერა-კითხვის საზ. გამგეობა, 4) საისტორიო და საეთნოგრ. საზ. გამგეობა, 5) ფილარმონიულ საზოგად. გამგეობა, 6) ქართ. კულტ. მოყვარული საზოგად. გამგეობა, 7) ქართ. სიტყვა-კაზმ. საზ. საბჭო, 8) სახ. სახლთან არსებულ ქართ. წარმოდგ. მმართველი წრის გამგეობა, 9) ნაძალადევის დრამ. წრე, 10) ხარფუხის დრამ წრე, 11) ავლაბრის დრ. წრე, 12) სახ. უნივ. ქართვ. სექცია, 13) ქართ. გიმნ. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგად. გამგე კომიტეტი, 14) ქართ. გიმნ. პედაგოგიური საბჭო, 15) ქართველ ქალთა წრე, 16) ქართ. სამეურნ. საზ. საბჭო, 17) გაზ. „სახ. ფურცლის" რედაქცია, 18) გაზ. „თემის" რედ., 19) გაზ. „ახ. აზრის" რედ., 20) ჟურნალ „თეატრის და ცხოვრების" რედ., 21) ჟურნ. „კლდის" რედ., 22) გაზ. „ზაკავკ. რეჩის" რედ., 23) გაზ. „კავკაზის" რედ., 24) თბ. სათავადაზნ. საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, 25) იმავე ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, 26) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოების გამგეობა, 27) ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება, 28) „ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო, 29) ხარფუხის კლუბის საბჭო, 30) ქართ. დრამ. დასი, 31) საზ. „განათლების" გამგეობა. კერძო პირებისაგან მიწვეული იყვენ: ილია მიხ. ხარაშვილი, სვიმონ ილარ. ფორაქაშვილი, ივ. ნიკ. კვეზერელი-კოპაძე, ადამ ზურაბის-ძე ფორაქაშვილი, მიტროფანე დავითის-ძე ლაღიძე, ალექს. მიხ. ძეგველიშვილი. კომისიაში დასახელებული იყვენ სარეკომენდაციო კომისიისმიერ შემდეგი პირნი: **„სათავადაზნაურო საკრებულოს მხრით:** აბხაზი კონსტ. ნიკ., ერისთავი ნიკ. რევ.; **დრამატიულ საზოგადოების მხრით:** თუმანიშვილი პავლე იოსების-ძე, ერისთავი ნიკ. დავ.; **ქართულ ბანკების მხრით:** ყიფიანი ვას. როსტ.; ლასხიშვილი გიორგი მიხ.; **წერა-კითხვის საზოგადოების მხრით:** ყაზბეგი გიორგი ნიკ.; **ქართულ პრესის** მხრით: ჟორდანია ნოე ნიკ.; ფირცხალავა სამსონ გრიგ., ვაჩნაძე დავ. ვლად., დიასამიძე გრიგ. ნიკ.; **ქალაქის სამმართველოს მხრით:** ჟურული გიორგი დურმიშ.; **ვაჭრების მხრით:** ფორაქაშვილი სვიმონ ილარ., ძეგველიშვილი ალექს. მიხ.; **ქართ. ქალთა საზოგადოების მხრით:** ერისთავისა-განდეგილი დომინიკა, **ვექილების მხრით:** ზურაბიშვილი ივ. ივ., გვაზავა გიორგი ბეჟ., ქარცივაძე ნიკ. იოთ.; **ექიმების მხრით:** ღამბაშიძე ვახტ. დავ., გომართელი ივ. გედ.; **არტისტების მხრით:** გუნია ვალ. ლევ., გოცირიძე ნიკ., წუწუნავა ალექსი; **საეთნოგრ. და საისტორიო საზოგადოების მხრით:** თაყაიშვილი ექვთ. სვ.; **ქართ. სამ. საზოგადოების მხრით:** ჩოლოყაშვილი დიმ. ერასტ.; **საზოგადოება „განათლების" მხრით:** წერეთლისა ანასტასია მიხ.; **ფილარმონ. საზ. მხრით:** ზაქ. პეტრ. ფალიაშვილი; **სახ. უნივ. ქართ. სექციის მხრით:** წულუკიძისა ელენე მერაბის ასული. გარეშე მყოფი წევრები: უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულების ოთხივე დეპუტატი; საპატიო თავმჯდომარენი: აკაკი და ცნობილი დრამატურგი ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუჟინი.

ქართ. დრამ. საზ. წევრთა საგანგებო კრება მოწვეულია 26 ოქტომბრისათვის ზემოხსენებულ თათბირის დადგენილებათა დასაკანონიერებლად.

## თეატრის ფონდისთვის

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამასთანავე გაახლებთ ქართული თეატრის ფონდის გასაძლიერებლად ბაქოს ქართული სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისაგან შეწირულ ფულს. აი სია შემომწირველებისა: მ. კაკაბაძე, 5 მან., მ. ჩიხლაძის ასული, თ. გელოვანის ასული, ი. გოგია სამ-სამი მანეთი. (მოწაფენი) ლოლაძე ანნა, თევზაძე სამ-სამი აბაზი, შალვა დუმბაძე, ლ. თავაძე, ს. ჟუჟუნაშვილი, ნ. გვიმრაძე, შ. ბურჯანაძე, მაისურაძე, ლოლაძე არჩ. და ლოლაძე ლადო ათ-ათი შაური; თათეიშვილი, ჰეჰინაძე და ორჯონიკიძე ორ-ორი აბაზი; სოხაძე ორჯონიკიძე,გ., ოტანაძე, ალანია, მიხ. და ესტ. გაგნიძენი, კობახიძე ალ. და გოგიტიძე—თითო აბაზი; თავართქილაძე, მიქაძე, კაციტაძე და ფარქოსაძე ორ-ორი შაური; რ. ჯაფარიძე 9 კაპ. დუმბაძე, გოგლიძე, გაგუა, ხუციშვილი და მიმინაიშვილი თითო შაური. სულ 22 მან. 74 კ.

**ოდიშელი.**

**მეთოდე კაკაბაძე.**

## ლეჩხუმის უბედურება.

უბედურება მომხდარი სადმე შორეულად, თუმცა შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველის გულში, მაგრამ უნდა ვსთქვა, შედარებაც შეუძლებელია მსმენელთა გულის და იმათ გულის, ვისაც ესრეთი თავს დაატყდა?! არავინ არ მოიპოვება ჩვენს მაზრაში, ასეთი რამ ახსოვდეს, რაც დღეს საცოდავს ლეჩხუმის მაზრას მოევლინა! 17 სექტემბერს საზარელი გრგვინვა, ჰექა, ქუხილი, ზესხმა ქარის რამდენიმე სოფლის საზოგადოებას მოევლინა, თან მოჰყვა სეტყვა, ბევრათ მეტი თითქმის კვერცხზე. მოსპო ვენახი, ხეხილი მასთანვე სიმინდი, მოსავლისაგან აღარა დარჩენილა რა. სიმინდის ჩალა, რასაც პირუტყვთა სარჩოდ ხმარობენ მოისპო! სეტყვამ ტაროებიც ჩაჩეჩქვა და ჩამოყარა. შვიდი საზოგადოება საზარელ მდგომარეობაში იმყოფება, ჯერ უამისოდ მუშა ახალგაზდა ხელ მოკლებულს და ყოველ საათში მომლოდინე ცხედრისა და ჭირისუფლობის, ამას ეხლა ეს დაემატა: სარჩოსაბადებელი გაუნადგურდა! მე თვითონ ამ სურათის მხილველს ჩემი საკუთარი სახლის ზარალი სრულიად დამავიწყდა. მათ შორის ამ საცოდაობით თვალი მეცრემლება და ჭირისუფლად მხდის. ადვილად არ გამოითქმება ის ოხვრა და გლოვა, როდესაც ათასობით ქალსა და კაცს ხედავ აზრიალებულს და შეშფოთებულს!

არ ვიცი, ვერ მომისაზრებია ასე უცბისად, თუ რა ღონეს მივმართოთ?! ერთი რამ არის და იყო ამგვარ შემთხვევების დროს მართებლობისაგან გამოითხოვდენ დახმარებას, მაგრამ ესრეთი ამ ჟამად აუსრულებლად მიმაჩნია, რადგან ეს თითქო ღვთის რისხვად ომი უამისოდაც ამძიმებს ხაზინას და ამისთვის, ვინ სად მოიცლის! მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა მივმართოთ მაინც, რომ ამოდენი სული ადამიანი უმწეოდ და უნუგეშოდ არ დარჩეს, არ ამოწყდეს.

ლეჩხუმის მარშალი
**თავ. იასონ გელოვანი.**

ჩვენის მხრით მივაქცევთ ქუთაისის ინტელიგენციის და სამეურნეო საზოგადოების ყურადღებას ამ საშინელ ამბავზე. ყველაფერი დაწვრილებით გამოკვლეულ უნდა იქმნას. ჩვენ დარწმუნებული ვართ ყველა დაეხმარება ბ. მარშალს ზარალის გამოკვლევაში.

საჭიროა, რაც შეიძლება მალე აღიძრას სათანადო შუამდგომლობა როგორც მთავრობისა, ისე მთავარ კომიტეტის წინაშე, რომელიც დაარსდა მეომართა ოჯახების დასახმარებლად, დაუყონებლივ შემწეობის აღმოჩენის შესახებ. უნდა ეცნობოს აგრეთვე ჩვენს დეპუტატებს და სახ. საბჭოს წევრს თავ. ანდრია ერისთავს.

## ბრძანება კავკასიის არმიის ჯარების მიმართ.

გაზ. „ტერეკში" დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება, რომელიც გამოცემულია 29 აგვისტოს 1914 ქ. თბილისში:

„ომის დაწყებისთანავე შემჩნეულია, რომ სამხედრო და საკლასო მოხელეთა, განსაკუთრებით მათ მეუღლეთა, წრეებში აქვს ადგილი შეუწყნარებელ ბაას ომთან დაკავშირებულ ხაგნებზე. ამ დროს ჟინებლიედ ისეთი ცნობები აშკარავდება, რომლის გაგება მოპირდაპირეს საშუალებას აძლევს შეიტყოს სად, რომელ ადგილას სდგას ჩვენი ჯარი ომის ასპარეზზე. ამის გამო არმიის მთავარ-სარდალმა ბრძანა გამოცხადდეს, რომ შემდეგში, თუ განმეორდა ასეთი შემთხვევა, ყველა დამნაშავენი, მანდილოსნების გამოუკლებლივ, იქნებიან მიცემულნი კანონიერ პასუხის-გებაში".

## საქართველოს ამბები

**გაგრა** (შავი ზღვის გუბერნია). საშინელმა ომმა მსწრაფლ შესწყვიტა ყოველგვარი წარმოება; შეჩერდა ბევრგან ქარხნებში მუშაობა. ზოგიერთი ომში გაწვევას გადარჩენილი გლეხი მოკლებული შეიქმნა სამუშაოს და ოჯახისათვის საჭირო თითო ოროლა გროშის შესაძენად სამუშაოდ ვერსად წავიდა.

დაიკეტა ჭიათურის მრეწველობაც, რომლის წყალობით არა ერთი და ორი ადამიანი შოულობდა ლუკმა-პურს. ომის საშიშროებამ და შიგნით სამუშაოს უქონლობამ ბევრი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ჭირნახულის მოსავალიც ბევრგან არცისე თვალსაჩინო იყო, რომ მას დაეყრდნოს საწყალი გლეხი: ომის მწარე შედეგს, თითქმის მხოლოდ ერთი შავი ზღვის თუაფსეჰქვალონის რკინის გზა გადაურჩა, სადაც შეუფერხებლად წესიერათ მიდის მუშაობა.

საჭიროება მსწრაფლ ამ გზის გაკეთებისა იმდენად დიდია, რომ თუ კავკასიის მიწა-წყალზე უბედურება არა დატრიალდა რა, მუშაობა მალე დამთავრდება. სხვადასხვა ეროვნების მოიჯარადრეთა შორის ამ გზაზედ მხოლოდ ერთ ქართველს სპ. ბენდუქიძეს უკავია დიდი საქმეები, რომელსაც მუშებში ნდობა და კეთილი განწყობილება აქვს მოპოვებული. ძნელად შეიძლება მის საქმიდან მუშა წავიდეს უკმაყოფილო. საზოგადოდ ხშირად მოიჯარადრეები ნამეტან ექსპლოატაციას ეწევიან მუშაობისას, ბ. ბენდუქიძე კი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ხელფასი მისცეს მუშას, რომ უკმაყოფილო არ იყვეს ცხოვრებისა. ამიტომაც მასთან ხშირად შეხვდებით ერთს და იმავე მუშებს, რომელნიც მოუშორებლივ დაჰყვებიან ერთი საქმიდან მეორეზედ.

სხვაგან საქმეების დაკეტვისა გამო ამ ხანად მრავალი ქართველი მუშა იყრის მის გარშემო თავს.

იმედია, ბ. ბენდუქიძე თავის მხრით ხელს შეუწყობს ქართველ მუშას მატერიალურ აღორძინების მხრით.

**კორდელი.**

## ლენცოფის თესლი შეაგროვეთ.

ამ მოწოდებით მიმართავენ სოფლის მეურნეებს და მცხოვრებლებს მოსკოვის და კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებანი.

თურმე, ლენცოფა, რომელსაც რუსულად დურმანს ეძახიან, შემოდიოდა რუსეთში საზღვარ-გარეთიდან როგორც პირველი საჭიროების ნაწარმოები. ახლა, როდესაც დაიკეტა ომის გამო ეს გზა, ლენცოფის თესლის რაოდენობა შემცირდა,—ეს იმ დროს, როცა თესლი ძალიან სჭირდებათ სხვადასხვა წამლების მოსამზადებლად დაჭრილთათვის. სხვათა შორის ამ ლენცოფას ხმარობენ წამალ ატროპინის დასამზადებლად. ამისათვის საჭიროა შეგროვდეს 100 ფუთი. მოსკოვში მთელი კომიტეტი შესდგა ქიმიკოსებისაგან, რომლის დანიშნულებაა მოაწყოს წამლების ანუ მედიკამენტების მომზადების საქმე რუსეთში.

ლენცოფა მრავლად მოიძებნება საქართველოში. ეს სახელი უფრო ხშირად გაისმის ქართლ-კახეთში, იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში კი მას ეძახიან ლემას, ქვეყნის-გულს, სამურზაყანოში—ალააბკს, აფხაზეთში—აკუკუს.

ამიტომ სასურველია ჩვენმა სოფლის მეურნეებმა, სხვადასხვა საზოგადოებამ და კოოპერატივებმა ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს, რომ თავის მხრით დაეხმარება გაუწიონ ომში დაჭრილებს.

ლენცოფის თესლი შეიძლება გაუწმენდავიც ვამოიგზავნოს პირდაპირ როგორც ნაყოფი.

ვინც ამ კეთილ საქმეს თანაუგრძნობს, ის, უეჭველია, ლენცოფის თესლის შეგროვებასაც არ მოერიდება და გამოგზავნის კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებაში (თბილისი, ბარიათინსკის ქუჩა, სახლი მეხუთე).

არავინ უნდა დაივიწყოს, ახლანდელ საშინელ ომში რამდენს დაჭრილ და დაკოდილ მამაც მეომარს შეუძლია დაუამოს წყლულები ამ ლენცოფიდან გაკეთებულმა წამალმა...

მაშ, შევუდგეთ კეთილ საქმეს!..

ს.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო. ტელეფონი № 590.**

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე), 11—12. |
| | **კიკალიშვილი პ. ლ.** (ყოვ. დღე,) 11½-2. |
| ქირურგიული სნეულებანი | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოვ. დღე) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. გ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა სამშ. და სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **კიკალიშვილი პ. ლ.** (ყოვ. დღე.) 1½—2. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე,) 11—2. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ. და შაბათ. 12—1. |
| | **ფონდოევი გ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბ. ოთხშ. და პარასკ.) 2—2½, |
| კბილ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½- -12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606", „914" და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

„**ხარებობის**"

„**ბლაგოვეშჩენსკოე**"

**კოოპერატიული სალიანელ მეთევზეთა შემნახველ - გამსესხებელი ამხანაგობა.**

**თბილისი, პუშკინის ქ. № 17.**

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას რომ მან

## უკვე დაიწყო ვაჭრობა

**ყოველ გვარ თევზეულობისა.**

მყიდველთ შეუძლიანთ მუდამ მიიღონ მაღაზიაში მოხარშული ცხელი დოში, ცალძვალა, იანი, და სხვ.

გამომდგარი ზურგიელები: დონისა და ქართული. სრულებით უმარილო მსხვილი მარცვლოვანი ახალი ხიზილალა „ქიტკა", საუკეთესო მოვნების ხიზილალა პარკისა და ბოჭკისა.

**მუდამ დღე იყიდება:**

ახალი თართი, ზუთხი და ლოქო

ვაჭრობა სწარმოებს როგორც ბითუმად, (პარტიით) ისე წვრილად.

ამხანაგობის მიზანია, თავისი საკუთარი საქონელი გაჰყიდოს პირველ ხელში მომხმარებელთა და მიაწოდოს მათ ახალი და საღი თევზეულობა ფრიად ნაკლებ ფასებში, მაგალითად, 20 პროც. და მეტით ნაკლებ, ვიდრე თბილისელ მეთევზეთაგან, რადგანაც თვით ამხანაგობა ცდილობს, დაიმსახუროს მომხმარებელთა ყურადღება. იმედია, საზოგადოებაც არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ ნორჩ კოოპერატიულ დაწესებულებას.

პატივისცემით გამგე საწყობისა და მაღაზიისა **ზურაბ ფარეშაშვილი.**

ხელოვნურად შეზავებული



სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე **ლ ა ღ ი ძ ე** და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულისწვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 41, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.